№ 134 თიბათვე 28, ოთხშაბათი 1889 თიბათვე 28, ოთხშაბათი № 134

ეროვნული ბიბლიოთეკა


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 . . . . . . | 10 | — | 6 . . . . . . | 6 | — |
| 11 . . . . . . | 9 | 50 | 5 . . . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . . . . | 8 | 75 | 4 . . . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . . . . | 8 | — | 3 . . . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . . . . | 7 | 25 | 2 . . . . . . | 2 | 75 |
| 7 . . . . . . | 6 | 50 | 1 . . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში (სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


ტფილისი, 27 თიბათვე

დრო-გამოშვებით «ივერიაში» იბეჭდება სხვა-და-სხვა ნაწარმოები სახალხო სიტყვიერებისა, სხვათა შორის ზღაპრებიცა, და ამ სახით თანდათან გროვდება მასალა ერის წარსულისა და აწმყო სულიერისა და ზნეობრივის ვითარების მკვლევართათვის. მართალია, ეს მასალა, თუნდაც დიდის სამწერლო და სამეცნიერო მნიშვნელობისა, ყოველდღიური საგაზეთო საკითხავი არ არის, მაგრამ ამ გვარს ნაწერებს ჩვენ მაინც დიდის სიამოვნებით ვუთმობთ ადგილს, რადგანაც «ივერია» ერთად-ერთი საყოველთაო ქართული გაზეთია და დღემდე თთვის ჟურნალი არა გვაქვს, სადაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა სახალხო სიტყვიერების ნაწარმოებთა ბეჭდვა. იქნება ზოგს მკითხველს არაფრად ესიამოვნება გაზეთში სახალხო ლექსებისა და ზღაპრების წაკითხვა, მაგრამ რა გაეწყობა. როცა ამ გვარს ნაწერებს ვბეჭდავთ ჩვენს გაზეთში, აზრად ისა გვაქვს, რომ, რამდენადაც შესაძლოა, ზედ-მიწევნით შესწავლულ იქმნას დღემდე ნაკლებად გამოძიებული სახალხო სიტყვიერება, რომელიც, როგორც უკვე შეკრებილის მასალიდგანა სჩანს, შესანიშნავი და საგულისხმო უნდა იყოს რაოდენობითაცა და შინაგანის ღირსებითაც. გარდა ამისა, აზრადისიცა გვაქვს, რომ წავახალისოთ ჩვენი ახალი თაობა, რომელსაც ერთან ურთიერთობა აქვს, და იმის ნაშრომს ადგილი ავუჩინოთ მწერლობაში.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს საზოგადოებაში დაიბადა სიყვარული სახალხო სიტყვიერებისადმი, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში ბევრმა ჩასჭიდა ხელი ამ სიტყვიერებას და, შეძლებისადა გვარად, აგროვებს ძვირფასს მასალას, დღემდე ნაკლებად ცნობილს და თითქმის ხელ-უხლებელს. ამ სახით ჩვენმა ახალმა თაობამ, რომელიც ჩვენს დაბა-სოფლებშია გაღანტული, საგულისხმო საქმე აიჩინა, როგორც თავისის სულისა და გულის სავარჯიშებლად, აგრეთვე მწერლობის სასიკეთოდაც.

ეს გარემოება რომ სასიამოვნო და დიდის მნიშვნელობისაა, ამაზე აქ არაფერს ვიტყვით. არც იმის განმარტებას შევუდგებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს სახალხო სიტყვიერების შესწავლასა და კვლევას ერის ვითარების გამოსარკვევად, რადგანაც ამის თაობაზე მრავალჯერ გვისაუბრნია მკითხველთან. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ უფროს-ერთს მკითხველს და სახალხო სიტყვიერების მეძიებელთაც საკმაოდ აქვსთ შეგნებული ამ სიტყვიერების მნიშვნელობა და ამიტომ აქ ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ჩვენ აქ აზრად გვაქვს მოვაგონოთ ჩვენს განათლებულ ყმაწვილ-კაცებს, რომ ეს ორი თვე ძლიან მოხერხებული დროა სახალხო სიტყვიერების მეძიებელთათვის. სოფლის მასწავლებელნი და ქალაქებიდგან საზაფხულოდ გასული ყმაწვილი კაცები ამ ორის თთვის განმავლობაში თავისუფლები არიან და ამიტომ კარგი იქნება თავიანთი დრო და მოცალეობა სახალხო სიტყვიერების შეკრებასა და საზოგადოდ ერის ვითარების შესწავლას მოანდომონ. ეს იმათთვის თან დროს გატარება და მასვენება იქნება და თან მწერლობასაც დიდ-ძალს საყურადღებო მასალას შესძენენ. როგორც მოგეხსენებათ, «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც» აგროვებს სახალხო სიტყვიერების ნაწარმოებთა და დაბეჭდვასაც აპირებს. ჩვენი რედაქციაც დიდის სიამოვნებით მიიღებს ამ გვარს ნაწერებს და ამიტომ სთხოვს ყველას, ვისაც ხელი მიუწვდება და მოცალეობა ექნება, ერთგულად მოეკიდოს ამ სასიკეთო საქმეს. სრული იმედი გვაქვს, ჩვენი ყმაწვილი კაცები დროსა და მოცალეობას არ დაჰზოგავენ ამ საშვილიშვილო საქმის წინ წასაწევად და სასიკეთოდ.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 27 თიბათვეს, დილის $9^3/_4$ საათი იყო სწორედ, რომ ტფილისში მიწა იძრა. მიწის ძვრამ სულ ხუთს წამს გასტანა.

*** კასპი: ურიგო სოფელი არ არის კასპი: ჰირნახულის მოსავალი კარგი იცის და ღვინისა. აქაური ყურძენი გათქმულია. ვისაც რკინის გზით უვლია, ეს გარემოება კარგად უნდა იცოდეს. არც ხილი მოდის ურიგო ჩვენში და ბაღეული სანოვაგე ხომ ჩინებულია. ეს არის ცუდი ამ სოფლისა, რომ ვენახი და ბაღები ცალკეა და სოფელი ცალკე. სოფელი გაშენებულია მაღლობ ადგილას, გორაზე, და არსად მწვანე და ჩრდილი არ მოიპოვება. წელს პურის მოსავალს აქ არა უშავს-რა. ღვინისას კი უნდა გამოვეთხოვოთ. ზამთრის ყინვამ დასძრა ვაზი. წელს კასპურს ყურძენს ველარ იხილვენ რკინის გზით მოსიარულენი. სამაგიეროდ აქაურს გლეხს წელს სკოლა გაუჩნდება. აქაურებს განაჩენი შეუდგენიათ და ითხოვენ სკოლის გამართვის ნებას. ვიდრე ნება მოუვიდოდეთ, სასკოლო სახლს კიდეც აშენებენ. აი მონდომება ამასა ჰქვიან: ჯერ სულ არსად რა იყო და ახლა სკოლაც იქნება და საკუთარი სასკოლო შენობაც. აქაურს თავადიშვილობას დიდი შემწეობა გაუწევია სოფლისათვის სკოლის აშენებაში. მიუცია ადგილი და ხე-ტყე მუქთად და სხვაფრივაც მხნედ სცდილა, რომ საქმე მალე გაკეთებული-ყო. აშენებულია ერთი მოზრდილი საკლასო ოთახი და ოთხი კიდევ პატარა, დერეფნით გაყოფილი საკლასო ოთახისაგან. ქვეშ სარდაფია და ჩრდილოეთით აივანი აქვს. ერთის სიტყვით, კოხტა შენობა მოდის. ენკენისთვიდამ სწავლაც გაჩაღდება. აქაურებს, როგორც ყური მოვკარ, უფრო მასწავლებელი ქალი უნდათ, რომ სოფლის პატარა ქალები ბლომად იყოლიოს და ხელ-საქმე ასწავლოს.

*** ნიქოზის ტაძრის მღ. მ. ი. დავითაშვილისაგან ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად შემდეგი შენიშვნა:

„უმორჩილესად გთხოვთ ადგილი უბოძოთ თქვენს გაზეთში ამ მცირე შენიშვნას, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ეპისკოპოსმა გორისამ ალექსანდრემ შემოსწირა ზემო-ნიქოზის ტაძრის განახლების კომიტეტს ოც-და-ხუთი მანეთი, რისათვისაც ხსენებული კომიტეტი უგულითადესს მა-

## ფელეტონი

### გალაშქრება ლაშარის ჯვრის დროშით.

სრულ აიკრიბა თოვლები,
ბილიკებ დაჩნდა მთებისა;
კარგად იკიდებს ცხენი ფეხს,
ქუჩზე აღარა სხლტებისა;
ყველგან გაივლის მხედარი:
ზოვებ აღარა სქდებისა.
ლალო ზაფხულის ბუნებავ,
მამშვენო თვალთა, სმენისა,
თამარ-დედოფლის სახეო,
თავზე გვირგვინი გშვენისა;
გაგინათლებავ ქვეყანა,
ფერი დაგიდვავ ლხენისა.
მკვდართა, მომაკვდავთ იმედო,
სულის ჩამდგმელო, ქშენისა;
მარჯვენა-ბარაქიანო,
ძუძუს ჰირიმე შენისა!
სამთოდ გავიდა ცხვარ-ძროხა,
არ ედგომლება ბარშია.
ყველასა გემართებს სიფხიზლე,
ძალის შაკრება მკლავშია:
ერთ მხრივ ლეკები გვესხმიან,
სხვაგნით ქისტები მთაშია,
გაირეკავენ ცხვარ-ძროხას
ჩამოჩვეულნი ფშავშია.
ფშაველნიც ამას სჩადიან,
მტრისად ჩამდგარნი კვალშია.
დროა ქისტების დარბევის,
ხმა გავარდება ხალხშია;
ხატს გაიკითხავს მკითხავი,
ქადაგობს, იცემს თავშია:
„ქისტეთს გადადით, ფშაველებო,
ყველა გამოდით ჯარშია,
ნაქებო ფშაველის შვილებო,
საიმედენო ხმალშია.
დიდი ხანია ქისტისას
ხარს არ მასჭერით თავიო,
გაუნათლავის ლეშითა
აღარ გამძღარა სვავიო“.
ბატონის სიტყვა საყმოსა
დაუჯდებოდა ჰკვაშია;
სალაშქროდ გული აჩქროლდა,
ვინ ვის აჯობებს ცდაშია.
თოფებს უპირეს ტალები,
ყველამ გალესა ხმალია;
თავს დაიხურეს ჩაჩქნები,
ტანზე ჩაიცვეს რვალია.
ხუზაურ გოგოლაური
შავარდენივით ჩქარია,
იანვარ ელისბარის ძე
გორის მდრეკელი არია,
სუმელჯი სუმელჯიშვილი
ამომავალი მთვარია.
სამნი წავიდენ საჯარეს,
შაღეს ბეღლის კარია;
გამააბძანეს დროშაი,
წმინდის გიორგის ჯვარია;
წინ ჩამაუძღვენ ლაშქარსა,
ჩამაამწკრიეს ჯარია.
მათურის თავი გადაღლეს,
მთებს გაუზერტყეს ნამია;
მოსხლიტეს ქისტის ცხვარ-ძროხა...
მამლის ყიულის ხანია...
მდევრად გამაჰყვენ ქისტები,
ვისაც უჭრიდა მკლავია.
ის იყო გარიჟრაჟია,
მზემ გააბრუნა ღამია;
ზედი-ზედ დატყვრა მაჟრები,
სიათეების ჩქამია;
ბოლი ჩამოწვა ხევებში,
ბრძოლა შაიქნა ცხარია.
ცხრას ქისტს მასდევდა მარტუა
მახინცაური მწარია.
დამარცხდა ქისტის ლაშქარი,
თან გაჰყვა სისხლის ღვარია.
ლაშარის გორზე შამოდგა
ათასი ქისტის ცხვარია,
ასი კურეტი რქა-თეთრი,
ორასი ნისლა ხარია...
თან მაჰყვა დროშის ქღერითა
გამარჯვებული ჯარია.
მთაზე დაუსჭვეს დროშაი,
აქღრიალებდა ქარია.
ორმოცს მარგილზე დაავგეს
ორმოცის ქისტის თავია,
ორასის ქისტის მარჯვენა,
ფარ-ხმალი ნადავლარია.
მოდგა ლაშქარის სამზერლად
უხვად ქალი და რძალია,
ამ ზუვის ვეფხვების გუნდსა
არ მაჰშორდება თვალია.
ერთკნით ხო ცეცხლი დაენთო,
სხვაგან-კი ჰბუგავს ალია.
ადიდეს ლაშარელაი
და თამარ-მეფე წყნარია,
კარგს ყმათ საკარყმოს ასმევენ,
მაისხენიეს მკვდარია,
პირ-ოფლიანნი ვინაც-კი
ლაშქარს მოკლული არია,
ხატ თემის ნამუსისადა
ვინც არ დაზოგა თავია!..

ვაჟა-ფშაველა

### სცენები.

#### სცენა ხევსურეთში

I

აბიკა. (გიგოს მიესალმება) გიგოიც აღღენგრძელოს ღმერთმა! მახვედ მშვიდობით. გიგო!.. რაგორ ხარ, გიგო, რაგორ ღბძანდები, რაგორ შაექცევი? კაცით, საქონით ხო არა გიჭირს?

უშიშა და სხვანი მრავალნი ხევსურნი (გიგოს). გიგოიც აღღენგძელას ღმერთმა!.. საისკალ მიღბძანდები ეხლადა?

გიგო. გაგიმარჯოსთ... მოვედი აქ ხევსურეთში, თქვენთან... სამხვეწროდ გუდანის ჯვარში, არ მალოცებთ თქვენს ხატს?

აბიკა. რაზე არ გალოცებთ... მაგცას წყალობა ჩვენ ბატონმ, შაგეწიას გუდანის ჯვრის, ხევსურეთის დავლათი... (მიუბრუნდება ხევსურებს) ა ბეჩავ, გუდანის ჯვარო! საით სად მასდევს დალოცვილს მლოცავი. ეხლად, ხევსურნო, ყურ დაუგდეთ გიგოს რას უნბობს, გაიგონეთ, შაისმინეთ—გიგო ძმად გვეფიცების. ეხლა ჩვენ ნიადე, ჩვენ ძმაი ას.

უშიშა და სხვანი. შაეწიას ჩვენის ბატონის დავლათი... ცხვარ სად გყავ ეხლა, გიგოო! სადაღ აპირობ მთობას?

გიგო. ისევ თქვენს მთაში უნდა ვაძოვო, ძმებო. მაინც თქვენი ძმა ვარ. საბალახეს თქვენც გაძლევთ და სხვასაც ხომ უნდა მივსცე მაშ თავისი ძმა არ უნდა გებრალებოდესთ? მაგაზე მერე მოვილაპარაკოთ, იმედია მოვრიგდებით ერთმანეთში... ჯერ შემახვეწეთ, მალოცეთ თქვენი ხატი, რომ თქვენ ძმად დავმტკიცდე, რომ თქვენც გული დაგიარხეინდესთ, მე თქვენ გენდობოდეთ და თქვენ მე. აი ეს კურატი (უჩვენებს კვბუღზე, რომელსაც თავ-რქაზე თოკი აქვს გადახვეული და გიგოს ბიჭს უჭირავს ხელში) უნდა დავკლათ, თქვენის და ჩემის ხატისათვის შემომიწირნია... ცხოვრებამ და დავიდარაბამ აღარ მომაცალა მომეგონა ჩვენი ბატონი. (თავისთვის) იქნება ამით მაინც გავხდე რასმე, თორემ შეიძლება ეგ საძოვარი მთა იმ ბაიყუშს ფშაველს დარჩეს. იმედია, რომ გასჭრას ჩემმა ხერხმა და მოგონებამ. ჯერ ძალას არ დავატან ხევსურებს და არც იმას შევატყობინებ, რომ ძლიერ მინდა ამათ მთაში დადგომა. მინდა ერთი ათის წლის იჯარით ავიღო ეგ მთა. რა იციან ბრიყვებმა ათის წლის მფლობელობას რა მნიშვნელობა აქვს... კანდრახტით შევეკვრი და ათის წლის შემდეგ დავისაკუთრებ კიდეც.

ხევსურნი. (ერთად) კარგ იქნების...

უშიშა. ლუდ მიართვით გიგოსა... აბალე, უნცროვავ, ირბილე, უთხარი დასტურთ, ჩაგისხმენა-დ მაიღ. აბალე აჩქარდ (ხევსური მიდის ლუდის მოსატანად).

გიგო. ხევისბერსაც დაუძახეთ, რომ ზვარა აკურთხოს.

აბიკა. ხევისბერ ხატჩი იქნების, ახლოაჩი მივდგეთ გიგოო, ნალახჩთ ნატარ ხო არ ხარ, ხატის კარს რაად ერიდები?

დლობას უძღვნის მისს ყოვლად უსამღვდელოესობას.

აგრეთვე უგულითადესს მადლობას უძღვნის კომიტეტი მიხეილ ელისბარის ძეს თავ. შერვაშიძეს, რომელმაც იმავე საგნისთვის ხუთი მანეთი შემოსწირა. ეს ორი შემოწირულება (30 მანეთი) წინანდელთან ერთად (640 მან. და 11 კაპ.) შეადგენს სულ 670 მან. და 11 კაპ.

*** **დ. ცხინვალი:** ამას წინად გაცნობეთ, რომ ცხინვალის ახლო-მახლო ადგილებში ვილაცებმა რამდენიმე ავაზაკობა ჩაიდინეს. სხვათა შორის მოხსენებული იყო, რომ გასტეხეს ეკკლესიები ერკნეთსა და წუნარში და გაჰქურდეს რამდენიმე სახლობა. როგორც სჩანს, ავაზაკები ამდენს ავაზაკობასა და ქურდობას არა სჯერდებიან და თანდათან უფრო თამამად მოქმედებენ, რადგანაც არავითარი საშუალება არა გვაქვს იმათის ავ-კაცობისაგან დავიფაროთ ჩვენი ყოფა-ცხოვრება. ამ ხუთის დღის წინად მოიპარეს ქვემო-ნიქოზში ერთი ბედაური ცხენი იქაურის მღვდლის სიძისა. ამის შემდეგ მეორე ღამეს ერთს ღარიბს ქვრივს, საძაგლიშვილისას, მოჰპარეს ერთად ერთი მარჩენალი ძროხა. აი, ამ ორის კვირის განმავლობაში რამდენი ავაზაკობა მოხდა სულ ერთი-ორის ვერსის მანძილზე იმას ვინ ხომ მოსთვლის, თუ რამდენს ავაზაკობას სჩადიან ყაჩაღები სხვა სოფლებში. მეტადრე იმ სოფლებში უფრო თამამად მოქმედებენ ავაზაკები, რომლებიც ორ ლიახვ გაღმაა და ექვემდებარება ხელთუბნის ბოქაულს. ამ სოფლებში ბურთი და მოედანი სწორედ ავაზაკებისაა და ვერც ერთი გაძარცული და გაქურდული ვერა ჰბედავს ხელთუბნის ბოქაულთან წასვლას ორმოცის ვერსის სიშორეზე, ორ ლიახვ გაღმა აქაურებმა ხელთუბნის გზაც არ იციან და ბ-ნს ბოქაულს ხომ ერთიც ვერ იცნობს. ნეტავი ვიცოდეთ, ამ გვარი ყოფა როდემდე გასწევს. დ. ცხინვალი ამ სოფლების ცხვირ წინ არის და ხელთუბანში ვის რა უნდა, ან ვინ წავა.

*** **სამტრედია:** სამტრედიელები და ახლო-მახლო სოფლელები დიდად მოხარულნი არიან, რომ სამტრედიაში, მთავრობის ნება-რთვით, დაწესდა ბაზრობა (იარმუკობა) კვირაში ერთხელ, პარასკეობით. როგორც «ივერიაშივე» მოხსენებული იყო, ამ თთვის 16 დაწესდა ბაზრობა და ეს დღე შესაფერად გადავიხადეთ. ამ დღისათვის მოვიწვიეთ ბლაღოჩინი მამა ერმილაოზ კანდელაკი, რვამდე მღვდელი და ამდენივე მამასახლისი. გარშემო სოფლებიდგანაც დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა და მათ შორის ბევრი ებრაელი ვაჭარი დაესწრო. წირვის შემდეგ კარგი ვაჭრობა იყო. ამ თთვის 23 აქ იყო ბაზრობა და წინანდელზე მეტი ხალხი დაესწრო. ამიტომაც იმედი გვაქვს, რომ სამტრედიაში აღებ-მიცემობა ძალიან იმატებს. ასე და ამ გვარად ჩვენი სამტრედია ძალიან იზრდება და, სადაც არის, იმერეთის საუკეთესო დაბებსაც-კი გადააჭარბებს ვაჭრობითა და მოსახლეობით.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთი „Siécle“-ი, რომელშიაც უმთავრესი თანამშრომელია დღევანდელი მინისტრი იუსტიციისა ტიევენ, ამბობს, რომ ომი საფრანგეთსა და გერმანიას შუა აუცილებელია, მხოლოდ ჯერ-ჯერობით-კი ამისი ფიქრი არ უნდა გვქონდესო. ომი თუ ატყდება, ისევ 1891 წელს ატყდება, რადგან მაშინ თავდება იმ სავაჭრო და საპოლიტიკო ხელშეკრულობის ვადა, რომელიც გერმანიასა და საფრანგეთს შორის იყო დადებულიო. ეს ხელ-შეკრულობა უფრო სასარგებლოა გერმანიისათვის, რადგან შედეგი იყო იმის გამარჯვებისა 1870 და 1871 წწ. საშიშია, რომ გერმანიამ იმ დროსთვის ისევე კარგად არ შეაიარაღოს ჯარები, როგორც ჩვენა გვყავს შეიარაღებული. ამიტომ დიდად უნდა ვეცადნეთ უკეთესად მოვაწყოთ ჩვენი სამხედრო საქმეები. თუ ერთ ნაირად კარგად გვეყოლება მოწყობილი მხედრობა ჩვენცა და გერმანიასაც, გამარჯვება იქნება მაინც ჩვენ დაგვრჩეს, რადგან ფრანგებში უფრო ძლიერია ძარღვი საქმეთა ვითარების გაგებისა და გრძნობისა, ვიდრე გერმანელებშიო.

— საფრანგეთის პარლამენტში დიდი გამწვავებული ურთიერთობა ჩამოვარდნილა დასთა შორის. თუმცა სარესპუბლიკო დასნი თითქმის ყოველთვის ამარცხებენ მემარჯვენეთა და სხვა მოწინააღმდეგე დასთა, მაგრამ ზოგიერთი მისი წარმომადგენელნი არა სცხრებიან და არც ერთს გარემოებას არა სტოვებენ, რომ, თუ-კი შეიძლება, უჩხვლიტონ იმ გარემოების გამო და სისხლი გაუფუჭონ სამინისტროს. ამ დღეებში მონარხიელნი და საზოგადოდ მემარჯვენენი დაეცნენ თავს შინაგან საქმეთა მინისტრს კონსტანს ტონკინის სამხედრო გუბერნატორ რიშოს გამო. ისინი ეკითხებოდნენ მთავრობას: რად დაითხოვეთ ის კაცი გუბერნატორობისაგან, როდესაც იქაურებს ისე მოსწონდათ და საქმეებსაც კარგად განაგებდაო. რიშო მესამე-მეოთხე დღეს გარდაიცვალა და იმისი სიკვდილი თქვენი ბრალიაო. მემარჯვენეთ ზოგიერთი ისეთი სიტყვებიც წარმოსთქვეს, რომ პირდაპირ კონსტანს გადაჰკრეს. კონსტანმა მოითხოვა, რომ, სიტყვების გადაკვრის მაგიერ, რაიცა მე ძრიელ მეჯავრება, პირდაპირ სთქვით, თუ მამტყუნებთ რაშიმეო. მე გამოძიებისა არ მეშინიანო. აქ ერთმა მონარხიელმა უფრო მეტად შეურაცხჰყო კონსტანი. მონარხიელი დეპუტატი გაჰკიცხეს და იძულებული გახადეს გასულიყო პარლამენტიდამ. ტრიბუნაზე ტირარი ავიდა და აუხსნა პალატას, რა მიზეზით იქმნა გამოცვლილი სამხედრო გუბერნატორი ტონკინისა. ტირარმა სთქვა, რომ რიშო არ მისდევ და იმ წესს იქაურის საქმეების მართვისას, რომელიც პარლამენტმა შეიმუშავა და მოიწონაო. ჩვენ აზრად გვქონდა და გვაქვს კიდეც შემცირდეს იქ ხარჯი და რიშო-კი იმ აზრისა იყო და ისეთს წესს მისდევდა იმ ქვეყნის მართვა-გამგეობისას, რომ უფრო იმატებდა ხარჯი და კი არ იკლებდაო. აი რა იყო მიზეზი, რომ მთავრობა იძულებული შეიქმნა გამოეცვალა რიშო, რომლის მაღალს ღირსებასა და კაი კაცობას არც ჩვენ ვამცირებთ და გვწამს კიდეცაო.

**ავსტრი-ვენგრია.** ავსტრი-ვენგრია ამ ჟამად საკმაოდ შეფუცხუნებულია, მაგრამ მაინც საქებურად უჭირავს თავი და არაფრით არ აჩენს, რომ იმისი თავ-მოყვარეობა საკმაოდ შელახულია. ავსტრი-ვენგრია კმაყოფილი არ არის და გულიცა სტკივა, რომ რუმინიაში სამინისტრო ის გამოიცვალა, რომელიც სულითა და გულით იმისკენ იყო. სწყინს ისიცა, რომ სერბიაში საქმეები მისდა სასარგებლოდ არ დატრიალდა ავსტრი-ვენგრიას კარგად ესმის, რომ ერთი გარემოებაცა და მეორეც მეტად საგრძნობელია იმისთვის, მაგრამ მაინც იმედი აქვს, რომ ეს ცუდი ნიშნები დღევანდელს მშვიდობიანს საპოლიტიკო ვითარებას არ შესცვლის. მხოლოდ იმპერატორის ფრანც-იოსების სიტყვებმა გამოიწვია ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა. იმპერატორმა სთქვა, რომ ბოლგარიაში მართვა გამგეობის საქმე კარგად მიდისო. იმის სიტყვებიდამ თითქმის ის გამოვიდა, რომ უკვე დროა შევიწყნაროთ კობურგის პრინცი ფერდინანდი და ვაღიაროთ მთავრადაო. ეს სიტყვები, რასაკვირველია, არ მოსწონს რუსეთს და ეს გარემოება აძნელებს და ამწვავებს დღევანდელს ყოფას.

## მილიონები

წერილები დე-ვარინისა

(დასასრული*)

ნატან-მეიერ როტშილდი გარდაიცვალა 28 ივლისს 1836 წლისას ფრანკფურტში, სადაც წავიდა თავისს შვილის ლიონელისა და ანსელმ როტშილდის ქალის ქორწინებაზე დასასწრებლად. გარდაცვალებულის გვამი ლონდონში გადაიტანეს და დიდის ამბით დაასაფლავეს. უველა მოუთმენლად ელოდა ანდერძის გამოქვეყნებას, რომ შეეტყოთ რამდენი ქონება აქვს ამ განთქმულს კაცსაო, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. განსვენებულმა ერთხელ და ერთხელ მიღებულს წესს არ უღალატა და ანდერძად დასტოვა, რომ ნუ გამოაქვეყნებთ იმას, რაც საჭირო არ არისო. ანდერძში ქონების რაოდენო-

*) იხ. „ივერია“ №№ 97, 98, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 126, 127, 128, 129 და 131.

---

გიგო. არა, მაგრამ ცოდვიანის ფეხით არ მინდა გავაჭუჭყიანო ხატის საბძანებელი.

აპიკა. ისითა ადგილს არ მიგიყვან, ხატმ იწყინას. ვიდინათ, გიგოო, ვიდინათ. მთელ ხევსურეთ მანდაას ეხლა, ხატის კარს. გალავანჩი შასვლაიკი ნ ადე არ იქნების: ხატ გაწყრების, მეემიზეზების კაცს, ან დაჰხელთავს, ან ავად გაჰხდის, ან კლდეზე სად გადაღლევს.

გიგო. (მისდევს) მილიონიც რომ მომცე იქ, მე, შვილო, ვერ შევალ. განა ადვილი საქმეა, იმისთანა ხავსიანი და წმინდა ადგილი როგორ უნდა გააჭუჭყიანოს თავის უწმინდურის ფეხით კაცმა. (ჩაიცინებს) წყალობა ხატისა, ვაჟებო!

ხევსურნი. მოგცას წყალობა გუდანის ჯვარმა... მოგცას წყალობა... მოგცას წყალობა... შენდაც წყალობა ხატისა. მახვედი მშვიდობით, გიგოო! მახვედი მშვიდობით.

გიგო. დამხვდით მშვიდობით... გმადლობთ...

უშიშა. ლუდ მაართვით გიგოსა... (ცოტა ხანს უკან გამოჩნდება სალუდიდამ ხევსური, თან მოაქვს დიდის თასით ლუდი; უშიშა ჩამოართმევს და მიუტანს გიგოს; ქუდ-მოხდილი დაიჩოქებს იმის წინ და შეაქცევს) კა ლუდი, გიგოს, შასვენ, შასვენ! ნურას იბალარჯებ, შენაც ჩვენის, აი ეგ ბატონის ყმაი ხარ, გიგოო! გწყალობდეს ამის დაულათი, გამარჯვება მოგცას... (გიგო სვამს ლუდს და ნახევარზე თასს უშიშას გადასცემს) გაცოცხლას, გადღეგძელას, გიგოო, შაგეწიას იმის დავლათი, რაის სალოცავადაც მაჰსულხარ; შაგეწიას ხევსურეთის დავლათი, მტრის ილბალ ნუ მაგრიას, შენი ამჯობინას შენის მტრისასა, მონა სულ გარიდას, ეშმაკ-ქაჯი, შენ სადღეგძელო იყვას. (მიუბრუნდება შემოგროვილს ხევსურებს) ჩვენ ძმაია ეხლადე გიგოი, ხევსურნო, ძმად გვეფიცების.

გიგო. ნამდვილად თქვენი ძმა ვარ, ძმებო, ნამდვილად. ცხონებული პაპაჩემი იტყოდა ხოლმე, ხევსურეთიდამ გადმოსახლებულები ვართო.

ხევსურნი. ღმერთმ გაცოცხლას, ჩვენის ძმობისად ღმერთმ გიმძას. ღმერთმ გიშველას, რო ძმად გვიკადრენ.

უშიშა. (მოსცლის თასს და ამოაპოუინებს) კაისაია. შენის ჰალის სვეიც ურევავ-კი ამაჩი, გიგოო!

გიგო. სვია რამდენიც გინდათ მოიკითხეთ. ჩემი სვიანი ჰალა თქვენი ფშქაში იყოს. (ჩუმად) ეს სვიაც კარგად მოვიგონე. სვიას გულისათვის ერთის კვირის სავალზე მიდიან და ზურგით მოაქვსთ, მე უფრო ახლოს არა ვარ.

ხევისბერი. (გამოდის სალუდიდამ, მთვრალია და აქეთ-იქით ერევა) სადაღას აბა გიგო ის სამხ-ვე-წრო, მაიყვანეთა აქა. (გიგო წამოხტება ფეხზე, ქუდს მოიხდის და მიდგება ყორეების წინ, სადაც სალოცავია, იწერს პირ ჯვარს. კურატი გიგოს ბიჭს მიჰყავს. ხევისბერი ჩამოართმევს, ქუდს მოიხდის. კურატს პირ-აღმოსავლეთისაკენ დააყენებს... ხევსურების გროვა გუნდად მიდგება, შემოეხვევიან გარშემო ხევისბერს და გიგოს. გიგო გვერდზე უდგება თავ-მოხდილი თავის სამხვეწროს. ხევისბერი დიდებას დაიწყებს) დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს-დღევსინდელს რჯულ-ქრისტიანთასა. შენ გადიდას ღმერთმა, გაგიმარჯოს, დიდო გუდანის ჯვარო, შენ შენი გამჩენი წყალობას არ მოგიშლის, შენ შენს წყალობას ნუ მაუშლი სახვეწრის პატრონს გიგოსა. სადაც შენ სახელ დაიძახას, მთაჩი იყოსა, ბარჩი იყოსა, სუდჩი იყოსა, უჩიოდეს ვისაა, ატუკანტს ებძოდესა, სადაც უჭირდეს, შენ ულურ მაახმარე, შენ კაბის კალთა დააფარე, დასცევ, დალფარე ავის საქმისაგან, ავის წადილისაგან, ბოროტ სულ მააშორე, მისდევდეს, მისწივიდი, მასდევდენ, გაახვეწიდი. შაიწირ-შაიხვეწიე, დიდო გუდანის ჯვარო, მონადირეს ამათ სახჩით გასულს ხელ გაუმართადი. მგზავრი შინ მშვიდობით მალგვარე, წყლით ზარალ ზარალად აკმარე, დიდო გუდანის ჯვარო. შენ სამწყალობნო იყვას, შენ სადიდებულო. (კურატს აქცევენ. ხევისბერი ხანჯალს გაიძრობს და უსომს ყელში) შაგიწირას გუდანის ჯვარმა.

ხევსურნი (გიგოს) წყალობა მაგცას. შაგეწიას, გიგოო, გუდანის ჯვარი.

გიგო. თქვენც შაგეწიოსთ, ჩემო ძმებო! (ხევისბერს) სისხლით გამნათლე, გეთაყვა, სისხლით განათვლა კარგია, დევები და ეშმაკები ვეღარაფერს დამაკლებენ. ერთი კარგად გამნათლე, გეთაყვა.

ხევსურნი (გაკვირვებით). იჰილე, იჰილე, იჰილე, ვოჟებო! შახენეთ, გიგოს შახენეთ! ხევსურეთის წესრჯულებაი მეტად სცოდნივ ჩვენზე. ჰა, ბეჩავ გიგოო! ხელ-მხარს ქვე ინათლავს!

ხევისბერი (ამოათრევს ხელს კურატის სისხლში და წაუსომს გიგოს შუბლზე). გაინათლე, (გულზე) გაინათლე, (ხელებზე) გაინათლე. გამოდი გიგოჩიით ავ-სულობაო, ეშმაკობაო, გაძრომ გამოძრომაო, გამკრეჭელობაო, მეკანტალობაო! ფუჰა! ფუჰა! ფუჰა!

გიგო. (მუხლს მოიყრის, პირჯვარს იწერს, უძახის ხევსურებს და იწყებს ძმად გაფიცვას) დიდო გუდანის ჯვარო, გესმოდეს შენცა, გაიგონეთ თქვენც, ხევსურებო! მოვდივარ თქვენს ძმად: ჩემი დედა თქვენი დედა იყოს, თქვენი დედა—ჩემი; თქვენი დები—ჩემი დები, ჩემი დები—თქვენი დები; ჩემი შვილები თქვენი შვილები იყოს, თქვენი შვილები—ჩემი; თქვენი ცოლები—ჩემი ცოლები... ჩემი ცოლი... თქვენი ნათლიდედები ჩემი ნათლიდედები იყოს, ჩემი ნათლიდედები თქვენი ნათლიდედები იყვნენ; ჩემი ძმები თქვენი ძმები იყვნენ, თქვენი ძმები—ჩემი ძმები; თქვენი რძლები—ჩემი რძლები; ჩემი რძლები—თქვენი რძლები, თქვენი ხატი ჩემი ხატი იყოს, ჩემი ხატი თქვენი ხატი იყოს; ჩემი სვიანი ჰალა თქვენ, თქვენი საიალახე, საძოვარი მთა მე. ამინ და ეგრე იყოს. (ჯოხზე ამოსთლის პატარა ნაფოტს, რომელსაც ხევსურები „შუღის-ამოგდებას“ ეძახიან და აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც სასარებაზე დაფიცვას) ესე ამოვარდეს, ვინც თქვენ, ხევსურებო, ძმად არ მიგიღოსთ... (სთლის ქმრის ვერცხლის ბალთას ლუდიანს თასში, სვამს თითონ და ასმევს ხევსურთაც).

ხევსურები. ეგრ იყოს, ეგრ იყოს, ეგრ იყოს... სვე სუ მუდამ გვეჭირვების ლუდისა და უსვედ ვერც ხატს დავანამუსებთად, ვერც მკვდარს.

გიგო. რამდენიც გინდოდესთ, რამდენიც გინდოდესთ, თქვენი ნება არ არის, მოდით და წაიღეთ. რა ოხრობისათვის მინდა სვე, თუ თქვენ არაფერს გარგებსთ?!

ღერენა (გაწყრომით). ეგ რაიღ სთქვი, გიგოო, ჩემ სვიან ჰალა თქვენ იყვას, თქვენ საილახე მთა ჩემიო... რა ვქნათ, გიგოო, მართალ ას, ძმად გავიფიცენით, შენ ჩვენ ძმაი ხარ, ჩვენ შენებ ძმები, მაგრამ ეს როგორად იქნების, რო ფშაველთან პირობაი გვაქვის მიცემულ, მთა იმან დაიკეთ, ნახევარ საბალახეიც იმავ თ ეჩი მაგვც იმანადდ, ახლა იქავ წავართვათა-დ შენ მაგცათ. ეგ რა ხელ იქნების! სირცხვილ არა ასა ჩვენდ მაგისთანაის საქმის ჩადენაი?! შენზედ, ნუ გეწყინების-კი, გიგოო, მართალს კი გეტყვი, ბევრ ცუდიც გამიგონავ მეა, არ ვიცი სხვა ხევსურთ იციან, თუ არა. პურ-მარილ უწამებელ კაც ასავ გიგოივ, გამიგონავის. სამ-ოთხ მეკვემურ ფშაველ, ოჯახიშვილებ დალუპავ, ზოგ დაინათლიავავ, ზოგს თავა დაუნათლიავდა-დ ფულებ გამასტყუენ, აღარაფის-რა მისცავ. ზოგსა კიდენ მამულებ მიჰყად, ქალალდებ დაუმალავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზედ კრინტიც არ იყო დაძრული. მარტო იმისმა ძმებმა და შვილებმა იცოდნენ შინაური ამბავი. ქალიშვილებიც-კი არ იყვნენ ოჯახის საიდუმლოში გაზიარებულნი. ქალიშვილებს განსვენებულმა ანდერძით ორ-ორ ნახევარ მილიონი დაუტოვა, ისიც იმ პირობით, თუ ქმარს დედისა და ძმების თანხმობით შეირთავენო.

გარდაცვალებული ხშირად ამბობდა, რომ დიდი გაბედულობა და ჭკუა უნდა ფულის მოგებას, ხოლო ათი იმოდენა კიდევ მოხერხებულობა და უნარია საჭირო, რომ მოგებული შეინახოს ადამიანმაო. ნატანის მეორე შვილმა მამის ადგილი დაიჭირა ლონდონში, უფროსი ნატანიელი დასახლდა საფრანგეთში და ფულის საქმეში სწორედ მამისებური უნარი და შნო ჰქონდა გამოყოლილი. პატარაობითვე მამის ხელ-ქვეშ ჰმუშაობდა, ამიტომაც ბანკის მეთაურობაც იმან იკისრა და არც ძმები გაუხდნენ წინააღმდეგს, რადგან იმას უფრო გამოცდილად სთვლიდნენ. ძმები-კი სცდილობდნენ გარეგნად დაეცვათ პატივი და დიდება როტშილდის ოჯახისა, ხელოვნებასა და დოღებს მისდევდნენ, რაც ინგლისში ყოველ რიგიანის ოჯახიშვილისთვის აუცილებელი საქმეა.

მოხუცი როტშილდი მხოლოდ სიმდიდრის შემენის დარდში იყო, იმისმა შვილმა ლიონელმა ამ ფულს მკვიდრი სამირკველი დაუდო და დანარჩენმა ძმებმა-კი სიმდიდრეს ისე მოხმარებას ეცადნენ, რომ სამუდამოდ ამოეშალათ თავის თანამემამულეთა მეხსიერებიდგან თავისი უზრალო შთამომავლობა.

ახალი მეთაური როტშილდის ოჯახისა თითქმის ოცის წლის განმავლობაში რუსეთის საფინანსო აგენტი იყო და შუამავალი იყო აგრეთვე ინგლისისა და ამერიკისა საფინანსო საქმეებში. 1870 წლის ომს შემდეგ იგი მჯდომარე იყო ინგლისის ბანკის პატრონთა საბჭოში, რომლის მეოხებით საფრანგეთის ფასიანმა ქაღალდებმა ძირს არ დაიწია და ამით საფრანგეთს მეტად გაუადვილდა კონტრიბუციის გადახდა. 1876 წელს იმისვე მიჭმართ ბრიტანიის მთავრობამ, რომ დაუყოვნებლივ გვიშოვნე ვალად 100 მილიონი ოქროთი, რათა ქედივისაგან სუეზის არხის აქციები შევისყიდოთო.

ფრიად მდიდარი, იგი ამასთან დიდსულოვანიც იყო, ფულს არაფრისათვის არ იშურებდა და თავისს მეუღლეს მილიონობით აძლევდა საზოგადო საქველ მოქმედო საქმეებზედ მოსახმარებლად. იმისი გარდაცვალება, 30 მაისს 1879 წლისას, ლონდონმა საერთოდ გამოიტირა და გამოიგლოვა. ლიონელის ხელში მამის ქონებამ უფრო იმატა და მკვიდრს სამირკველზედ ტრიალებდა, ხოლო სახელი როტშილდებისა, წინად შურისა და მტრობის აღმძვრელი, პატივსცემი შეიქნა.

იმისი მოღვაწეობა პარლამენტშიაც ფრიად მოსაწონი იყო და ამიტომ საზოგადოებრივმა აზრმა დიდის თანაგრძნობით მიიღო ის ამბავი, რომ დედოფალმა ინგლისისამ იმის შვილს ნატანიელს პერობა უბოძა. ნატანიელ როტშილდი იყო პირველი ებრაელი, რომელსაც-კი ზედა პალატაში ფეხის შედგმა და სამსახური ეღირსა.

ა—ი

## წვრილი ამბები

6 (18) თიბათვეს ლონდონში კრება ჰქონია იმ საზოგადოებას, რომელსაც აზრად აქვს სხვა-და-სხვა ავაზაკნი და დანაშაულობათა ჩამდენნი პატიოსანს ცხოვრებას დაუბრუნოს. ამ საზოგადოებას თავისი აგენტები ჰყავს, რომელნიც ყოველ დილა მიდიან ლონდონის ციხესთან და ელიან იმ ბრალდებულთა გამოსვლას, რომელთაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელი უკვე გადაუხდიათ. აგენტი პირველში დამნაშავეს შეიპატიჟებს თურმე სადმე საუზმეზედ და საუზმის შემდეგ არწმუნებს, რომ თავი დაანებე ავაზაკურს ცხოვრებას, უფრო პატიოსანს საქმეს მოჰკიდე ხელი, ჩვენი საზოგადოებაც მხარს მოგცემს და შემწეობას გაგიწევს, თუ ვინიცობაა პირობას მოგვცემ, რომ არც ლუდსა და არც სხვა სპირტიანს გადაჭარბებით არ იხმარებო. 18,000 საპატიმროდგან გამოსულში 15,200 დათანხმებულა, საზოგადოების ნებას დაჰყოლია, 5,400 მოუწერია პირობის წერილზედ ხელი, 7,548 კაცს შემწეობა მიუღია, ზოგს ადგილითა და ზოგს სახელოსნო იარაღით, ფულად და ავსტრალიაში წასასვლელ რკინის გზის ბილეთად. საყურადღებო ის არის, რომ თითქმის ყველას, ვისაც-კი ვალი აუღია ამ საზოგადოებისაგან, პირ-ნათლად გადაუხდია.

— ბერლინის გაზეთები საკვირველ შემთხვევას მოგვითხრობენ სიხარულისაგან გამოწვეულს სიკვდილზედ. ამას წინად ცნობილი მამულთ-მეპატრონე ბერლინისა ბერნგარდ ე. ჩვეულებისამებრ ქალაქის ბაღში დადიოდა თურმე. ამ დროს მივიდა იმასთან ერთი უცნობი და დაეკითხა: „ნუ თუ ვერა მცნობო?“ დააცქერდა უცნობს და უეცრად წამოიძახა: „ღმერთო!.. ალფრედ... შენა ხარ!..“ და გადაეხვია. რამდენსამე ხანს შემდეგ ალფრედს თავი უნდოდა განეთავისუფლებინა ძმის ხვევნისაგან, მაგრამ ნახა, რომ ბერნგარდს სული ეხუთებოდა და გული მისდიოდა. მაშინვე წაიყვანეს გულ-შემოყრილი კაცი სახლში და ისე გარდაიცვალა თურმე, რომ ექიმი ვერ მიასწრეს. ბერნგარდი სრულიად ჯანსაღი იყო, მაგრამ უეცარმა შეხვედრამ ძმისამ სიხარულით აუძგერა თურმე გული და მეტისმეტმა სიხარულმა კიდევ გამოასალმა ამ ქვეყანას.

— უახლესი ამერიკული რეკლამათ გინდათ, სწორედ ეს არის აი! ნიუ-იორკში ამას წინად დაუარსებიათ ერთი სასტუმრო, რომლის გამართველსაც ახირებული საშუალება უხმარია მუშტრების მისაზიდავად. ყველა ჩვენი რესტორანში მომსვლელიო, აცხადებდა ეს კაცი: რა ცოტაც უნდოდა დახარჯოს, ბარათს მიიღებს შემდეგის წარწერით: „მადლობელის სასტუმროს პატრონისაგან პატივსაცემ მუშტართა მიმართ! ეს ბარათი ნებას გაძლევთ თქვენი სათოტოგრაფიო სურათი მიიღოთ“. ამ წერილით გაოცებულს მუშტარს ეუბნებიან, რომ ეზოში უნდა გახვიდეთ მხოლოდ და თქვენს სურათს უეცრად გადაიღებენ და მოგცემენო. ამ ახალმა ამბავმა ორს კვირაში მთელი ნიუ-იორკი შემოირბინა თურმე. სასტუმროში ყველა წოდების ხალხი მიეშურებოდა: გამოჩენილნი და წარჩინებულნი კაცნი, მოსამართლენი, ვექილნი, ექიმები და სხვანი მრავალნი. ყველას უნდოდა, რომ თავისი სურათი ჭიქა ლუდით ხელში გადაეღებინებინა. შემდეგ ამ წარჩინებულთ თავი დაანებეს თურმე სასტუმროში სიარულს. ამასობაში სასტუმროს პატრონმა გამოჰკიდა იმათი სურათი გარეთ და ზედ ოქროს ასოებით დააწერა: „ესენი ჩემი პატივცემული მუშტრები ბძანდებიანო“. ამ წარწერამ დიდი ამბავი ასტეხა, არავის წარმოდგენილი არა ჰქონდა თურმე, თუ ამ უბრალო სასტუმროში იმდენი ხალხი მოიყრიდა თავს, და ამიტომ თითქმის ყველამ იქ დაიწყო სიარული. ამაში სურათ-გადაღებულნი წარჩინებულნი დაემუქრნენ თურმე სასტუმროს პატრონს, რომ სასამართლოში გიჩივლებთო, მაგრამ ამ კაცმა ყურიც არ გააპარტყუნა და გამოაცხადა, რომ ჯარიმას გადავიხდი და ჩემსას კი არ დავიშლიო.

## დეპეშა

26 თიბათვე

ვენა. ტაფემ მიიღო გუშინ დეპუტაცია ბრიუნის მუშათაგან, რომელთაც პირობა შეჰკრეს და ხელი აიღეს მუშაობაზე. ტაფემ აღუთქვა დეპუტაციას, რომ მთავრობა ეცდება შეეწიოს და მოარიგოს მუშები და წარმოების პატრონებიო.

ლონდონი. გუშინდლამდე დარჩა აქ შაჰი სპარსეთისა. მარკიზ სალისბერის შაჰი ჰნახავს გეტფილდში. იქ დაჰყოფს ერთს დღეს და მერე დაივლის ინგლისსა და შოტლანდიას. მიიელ-მოიელის ამ ქვეყნებს $^{15}/_{27}$ მკათათვემდე და მერე პარიჯს წავა.

პარიჟი. გუშინ შეიკრიბა პერიგში 2,000 მომხრე კონსტიტუციის გადათვალიერებისა და მოახდინა ისეთივე მანიფესტაცია, როგორიც წინა დღეს იყო ბორდოში.

27 ივნისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა შეიძინა მოსკოვის გუბერნიაში სერპუხოვის მაზრაში ძველებური მამული ნაშჩეკინისა „სემენოვსკის სამოთხე“. მამული შესანიშნავია ძველის დროის სხვა-და-სხვა მოწყობილობით, ჩინებული მდებარეობა აქვს მდინარე ნაროვაზე და მასში არის მადნეული წყლები.

საიმპერატორო იახტა „Царевна“ და მასთან მოსიარულე გემები ამ დღეებში იმყოფებოდა ქ. აბოსთან, ფინლანდიის სამხრეთ ნაპირებთან. ივლისის პირველ რიცხვებში იახტა დაბრუნდება პეტერგოფს.

პარიჟი. აფიც მსაჯულთა განაჩენით, შესახებ როშფორის გაზეთისა და „Presse“-სა, რომელთაც ჰბრალდებოდათ დიფამაცია წინააღმდეგ მთავარ-პროკურორისა დე-ბორენჰერისა, პასუხის მგებელი რედაქტორი „Interansigeant“-ისა უნდა დაპატიმრებულ იქმნას ერთის თვის ვადით, გადაჰხდეს ათასი ფრანკი ჯარიმა და ორი ათასი ფრანკიც ზარალის ასაღებად, ხოლო პატრონმა ტიპოგრაფიისამ, სადაც იბეჭდება „Presse“, უნდა გადაიხადოს ჯარიმა სამასი ფრანკი და ათასი ფრანკიც ზარალის ასაღებენი.

ლონდონი. კრიტის კუნძულიდამ იწერებიან, რომ, რადგანაც ოსმალეთის წარმომადგენელმა მახმუდ ფაშამ არ აღუსრულა თხოვნა უკმაყოფილო დასსა, ამიტომ დასავლეთის ოლქთა სოფლის ხალხს აღარ შე-

---

რა ვქნათ, ემისა გვეშინიან ჩვენაც. სამართლისა ჩვენ არა ვიცით, კანონ ჩვენ არ ვიცით, ბეჩავნ კაცნ ვართ, გიგოო!..

გიგო. (ჩუმად) აი გამიწყრა ღმერთი, ამათაც გაუგიათ, ამ მამაძ—ებს. უნდა რამ საუკეთესო ხერხი მოვიგონო, რომ ის ფშაველი გამოვაძევო იმ მთიდამ. ტყუილად ხომ არ გამინათლა ხევისბერმა ეს შუბლი (იდებს თითს შუბლზე), მაგონდება... უკეთესი ხერხი მოვიგონე. (ღერნას და სხვა ხევსურებს, რომელნიც ცოტა არ იყოს გაეჭვიანდნენ ღერნას სიტყვებზე) მტრის ენაა! თქვენგნით არ მიკვირს? რა დასაჯერებელია, ვინ იკადრებს მაგისთანა საქმეს, მერე მე?! მაგას როგორ დაიჯერებთ, ძმობასა და ნათელ-მირონს განა ელალატება? თქვენ გეტყობათ მაგ ფშაველს კიდევ ვერ იცნობთ. ხევსურებო, ძმებო! მე ერთს რამეს გეტყვით, ჰკვიანი ხალხი ხართ და ვიცი ჰკუაში მოგივათ, სიტყვას არ დამიწუნებთ. თქვენ იქნება არ იცოდეთ და მე-კი კარგად ვიცი, რისთვისაც მოსწონხართ მთავრობას. ისე კარგად ვიცი, როგორც ისა, რა სასარგებლოა ჩემთვის და რა საზარალო. მთავრობას იმიტომ მოსწონხართ თქვენ, ჩემო ძმებო, ხევსურებო, რომ ნამუსიანი ხალხი ხართ და ხემწიფეც რომ მობრძანდა, იმიტომ დაგიძახათ თქვენ და ფარიკაობა გაგამართვინათ. თავის თვალით გიცქეროდათ, დასტკბა თქვენით, ჩემო ძმებო, ბევრი ისიამოვნა. გაგონილი ჰქონდა თქვენი ვინაობა და იმიტომ. განა ხემწიფემ არ იცის, რომ თქვენ გარეშე დედაკაცს ანგელოზის თვალით უცქერით. ეგ არის სახელი და დიდება კაცისა. ახლა იკითხეთ ის ფშაველი, თქვენ რო მთა მიგიციათ საბალახედ, იმან იცით რა საქმე ჩაიდინა? ეჰ, ეჰ, მეზარება თქმა...

ხევსურნი. თქვი, გიგოო, დაღირებულს დაკვრაიც უნდა!

გიგო. ეჰ, ეჰ, როგორ უნდა თქვას ქრისტიანმა კაცმა მაგ გვარი სიტყვა, განაღამც თითონ ჩაიდინოს... მაგ ფშაველმა თავ-ი-ს-ი თე-მი-ს დედა-კაცი, წაწალი... ოჰ, ოჰ, ოჰ, უნამუსო კაცო, გააუნამუსოვა. გაიგეთ?! გაიგეთ? ახში მათქმევინეთ კიდევ და წამიბილწეთ პირი. პატარა ლუდი მაინც მოიტანეთ პირი გამოვირეცხო (ხევსურებს ლუდი მოაქვსთ და გიგოც შეუდგა პირის რეცხვას. ხევსურებს შეუდგებათ ერთმანეთში ჩოჩქოლი, მითქმა-მოთქმა).

ხევსურნი. (გიგოს) მართალს უნბობა მაგას, გიგოო, მართალს უნბობა... რაი გდებულა ე ტრუკ-ტრუკა, ე მექალირძლეი, ეგი. არ გაუტევთ მაგას ცოცხალ. ხევსურეთში ქვე ფეხს აღარ დაავადგმევიებთ... ჩავკეჩნით. არ სცხენიანა, ქუდ რაგორალ ჰხურავ, მზე-ქვეყანაზე რაადალ ას მთელი.

გიგო. თუ კაცები ხართ და ქუდი გხურიათ კიდევ და გწამსთ თქვენი მამა-პაპის ჩვეულება, ეგრე უნდა ჰქმნათ. მე ასე ვფიქრობ.

ხევსურნი. მამუკას ჩვენს მთაში აღარ გაუტევთ. წავიდას, დაითხიას აქით. მთაი შენ უნდა მაგცათ ახლა-კი.

გიგო. მე წელანვე გითხარით, თქვე დალოცვილებო! (ამ დროს მოდის გიგოს მწყემსი)

მწყემსი. (გიგოს) სალამო მშვიდობისა!.. რა უნდა ვქნათ, ბატონო, რომ ეგ ფშაველი მამუკაა ვილაც გზასაც აღარ გვაძლევს, სად მიგიდისთ ცხვარიო, მოგახსენათ: მთა მე მაქვს აღებულიო... მოახერხეთ საქმე, თუ ვერა? მინდა შევიტყო.

გიგო. საქმე კარგად არის .. მამა უცხონდება იმას... იმედი ჰქონდეს. საქმე გათავებულია... (ხევსურებს) აბა, ძმებო, პირობა დავწეროთ. ათის წლით ავილებ თქვენს მთას, მუდამ წელიწადს წავლებას ერთხელ ერთ კაცთან დაიჭიროთ საქმე, გირჩევნიათ.

ხევსურნი. არ სტყუის... მართალს უნბობს გიგოი? აბა დაწერე, გიგოო, დაწერე.

გიგო. (ქაღალდებს შლის და დაიწყებს წერას) „ჩვენ ამის ქვემორე ხელის-მომწერელთ ერთობ გუდანის მცხოვრებთ მოგეცით ესე ხელ-წერილი მაზედ, რომელიცა რომა ჩვენ საიალახე, საძოვარ მთები გვაქვს, შენ სოფ. არაგვისელში მცხოვრებელს გიგო გამქუცველოვს მოგეცით იჯარით ათის წლის ვადით წელიწადში თხუთმეტ თუმნად“ და სხვ. (ხევსურები ჩასჩერებიან ქაღალდს და გაკვირვებით შესცქერიან გიგოს კალმის სმარებას).

პირველი ხევსური. შახენეთ, ვაჟებო, რა ხელ აქრილ, თუ ღმერთი გწამთ. წერაიც ე მაგას ლქვიან, შენ რო რასამ ლკაწრავ, მინდიავ, ის-კი არაას წერაი. აბაბაბააა! რა ხელ წაიკითხების ეგრ წმინდად ნაწერი!?.

მეორე ხევსური. სამართალჩი არ გინახავის შენ გიგოი და იმით უნბობ მაგას. მაგას ხო სუდია-ნაჩალიკებ არაად გააჩნავ. შენ ბალღ კიდევ რაად გახათრებს, გიგოს სუდია-ნაჩალიკებ ბალღადაც არ გააჩნავ... ჰა ბეჩავ, გიგოო!

გიგო. (ხელს აწერინებს პირობაზე, ვინც წერა იცის, და ზოგის მაგიერად თითონ აწერს ხელს ჩუმად) ეს ხომ ჩავითრიე ხევსურები, ენახოთ ბოლო რა იქნება, ფორმისა და კანონიერების დაცვა რა საჭიროა პირობის წერილში. ესენი ხომ თავის სიტყვას ველარ გადაავლენ... ენახოთ ბოლო რა იქნება. ღმერთი და ბედი. (ხევსურებს) აბა, ძმანო, ეხლა ცხენი მომიყვანეთ და გამოგეთხოვებით კიდეც. ეგ ტყავი კურატისა და ეგ ხორცი თქვენი იყოს, დროება გაატარეთ... (ცხენი მოჰყავთ, გიგო შეჯდება ცხენზე. ხევსურები კიდევ ლუდს მოუტანენ და გამოთხოვებისას დალოცვენ ერთმანეთს). ღმერთმა გაცოცხლოსთ, ხევსურნო, კეთილი იყოს ჩვენი ძმობა, ჩვენი სისხლისა, ხორცისა და სულის გაერთება... კეთილის თვალით იყოს ეს ბატონი გუდანის ჯვარი თქვენზედაც და ჩემზედაც, მრავალჯერ გადულებინოსთ ლუდი და მრავალჯერ მომიყვანოს მეც თქვენთან სტუმრად (ჩუმად: თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს!) სვია რამდენიც გინდათ წამოიღეთ, ჯორ ულაყები წამოასხით, ზურგით ვერ მოერევით, ვერა ჰზიდავთ (ჩუმად იცინის და გამართებს). მშვიდობით, გამარჯვებით იყვენით, ვაჟებო, ჩემო ძმებო!

ხევსურნი. შენც მშვიდობით წადი... ღმერთმ გამარჯვება ნუ მაგიშალას. მრავალჯერ მშვიდობით წაგიყვანოს მაგიყვანოს... ათენგენობის სწორზე-კი ჩამუალთ სვის წამასატანად, გიგო!

გიგო. ჰო!... როცა თქვენი ნებაა, მაშინ ჩამოდით... მშვიდობით! (გიგო მიდის და ბიჭებიც უკან მისდევენ).

ღერნა (წამოწოლილია და ჩიბუხს ეწევა). თუ არ განანიასთ გიგომ, ხევსურნო, მაიტანეთა-დ დიაცის მანდილი დამხურეთ.

აბიკა. წელანდელ საუბრის არ იყვას, შენ რასაღ ტრუკ-ტრუკებ... უფროსების დაწყობილ საქმეი შენ გი აღრივ-დაღრია განა?! ხევსურთ თაობა გწადისა?! იდევ ე მაკაჩი, უფერ ნუ ხარ.

ღერნა. (აბიკას) შენ ხარა მემრ უფროსი ხევსურეთის აი! (ხევსურებს) შახენეთ, შახენეთ თავ-კაცს!.. გაიარ, გაიარ, მეკანტალეო!

აბიკა (მოიგლეჯს ფარს მხრიდამ, მარცხენა ხელში დაიჭერს და მარჯვენით ხმალს აიწვდის). ვის ეუბნებავ მაგას, მკვდარ-ციციაიანო! (მიიწევს ღერნასაკენ).

ღერნა (ფარ-ხმლით მომზადებული) გამაუტიეთა, გამაუტიეთა! მეედი, აქ მეედი! (ხევსურები ჩაუდგებიან შუაში და სხვა-და-სხვა მხარეს გაჰყავთ მოჩხუბრები).

ვაჟა-ფშაველა

აქვს ხაზინაში მეათედი გარდასახადი ჯარებმა და ჟანდარმებმა, რომელთაც უნდა ხელი შეეწყოთ მოხელეთათვის და ეშველნათ ამ მეათედის გამორთმევაში, უკან დაიწიეს, რომ ხალხის მუქარას არ გამოეწვია სისხლის ღვრა და შეტაკება.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ივნისი

| | მიიღდებოდა. | გამყიდველთა. | მყიდველთა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 78 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 155½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | 269 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 244 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97¾ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 98½ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 94½ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

# განცხადებანი

ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ რადგან 20 ივნისს 1889 წ., ბანკის წესდების მე 21 §-ის ძალით, მომხდარს ვაჭრობაზედ ყველა მამულები არ გაიყიდა, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 1889 წ. 5 ივლისს, დილის 12 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, არწრუნისეულს სახლებში, გასასყიდად ქვემო ხსენებულთა მამულთა.

სააპსაზოვი. არტემ იაგორის ძე: სამი ქვითკირის სახლი, ერთი ორსართულიანი სარდაფით, მეზონინითა და ფლიგელით და მეორე ერთ-სართულიანი მეზონინითა და სარდაფით, მესამე ერთ-სართულიანი სახლი და ბაღი მიწა ზომით 2317⁶⁰/₁₀₀ ოთხ კუთხი საჟენი. ქ. ტფილისს, 10 ნაწილს, 2 განყოფილებაში. თავნი ვალი 36792 მან 19 კაპ. შემოსატანი 4616 მან. 18 კაპ სულ 41408 მან. 38 კაპ

პარუნ-სარქისოვი, ონან და იაგორ იაგორის ძენი: სამ სართულიანი ქვითკირის ქარვასლა სარდაფით და ორ - სართულიანი სახლი სარდაფითვე. მიწის ზომა 148 ოთხკუთხი საჟენი მე-5 ნაწ. 1 განყოფ., ქ. ტფილისს. თავნი ვალი 26,609 მან. 90 კაპ შემოსატანი 3541 მან. 13 კაპ სულ 30,151 მან. 3 კაპ.

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება

სასოფლო მეურნეობის საზოგადოების სადგურში, ქ. ტფილისში, ბარიათინსკის ქუჩაზე წიგნი:

ვაზის მოშენება,

შედგენილი

ი. წინამძღვრიშვილისაგან.

ფასი 1 მანეთი.

ეს წიგნი სურათებით სავსეა და იყოფება ოთხ ნაწილად:

კარი პირველი

ა) ქვეყანა და იმაზედ საუბარი, ბ) საუბარი მიწის თვისებაზე, გ) შინაარსი და სინოყიერე მიწისა, დ) გარჩევა ყოველ გვარ მიწის თვისებისა, ე) საუბარი ჰაერზე, ვ) საუბარი მცენარეზე და იმის ორგანოებზე, ზ) მცენარის ორგანოები, ჵ) მცენართ ცხოვრება და იმათი შინაარსი, თ) მცენარის უჯრები, ი) ხლოროფილი, კ) საუბარი მცენარის ამომცენარებაზე.

კარი მეორე

ა) საუბარი სავენახე მიწის ამორჩევაზე, ბ) ვენახის პატივი, გ) საუბარი ვაზის გამრავლებაზე თესლით, დ) მოსაშენებელი ადგილი—სკოლა, ე) საუბარი ვაზის გაშენებაზე კვირტით, ვ) საუბარი ვაზის გაშენებაზე რქით, ზ) საუბარი ვაზის გამრავლებაზე რქის დაწვენით, ჵ) საუბარი სავენახე ადგილის მოშენებაზე მირიანის ვაზით, თ) საუბარი ვაზის მოვლაზე პირველს სამს წელიწადს, ი) საუბარი ვენახის დაკრეფვაზე, კ) საუბარი ვენახის მორწყვაზე და გასხლვაზე, ლ) საუბარი ვაზის დაყენებაზე სხვა-და-სხვა რიგზედ, მ) საუბარი ვაზის გასხვლაზე, ნ) საუბარი ვაზის მყნობაზე, ჲ) საუბარი მიწის შემუშავებაზე სხვა-და-სხვა რიგად, ო) საუბარი ვენახის სამუშაო იარაღზე.

კარი მესამე

საუბარი ვაზის მოშენებაზე: ტფილისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიაში, განჯის გუბერნიაში, ბაქოს გუბერნიაში ყიზლარში, ყაზი-ყუმუხში და ყუბანში.

კარი მეოთხე

საუბარი ვაზის ავადმყოფობაზე (დამკრაზე, ტყირპზე, ლორწო-სიყხვეზე, ყვავილის დაცვივნაზე, სიყვითლეზე, ვაზის დაშარვაზე, ანტონის ცეცხლზე კორძზე, ჭუზე ნაცარზე, ფილოქსერაზე და მილდიუოზზე) და იმის მორჩენაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ოები . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიჟოლაძისა. | , | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | ,, | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანციულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 30 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. დამბაშიძისა. . . . . . . . | „ | 25 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| დავით ალექსიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | „ | 45 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | ,, | 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა დამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| საქართლის წიგნი ვახტანგ რჯულ - მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | ,, | 50 |
| თამარიანი, გუგუნავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . . | 3 | „ |
| რუსულ - ქართული ლექსიკონი, მისივე. . . . | 3 | 60 |

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შესწორებული გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ




А. А.




СЕРЕБРЯНАЯ ЗОЛОТАЯ

## ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—37) ა. თუთაევი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 › . . . . . | 5 „ 25„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | 4 › . . . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 › . . . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 › . . . . . | 2 „ 50„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 › . . . . . | 1 „ 75„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეს განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

# სასტუმრო პურ-ღვინო-ში

საზაფხულოდ შეკეთებული გვაქვს ტერრასი, რომელიც ეზოებითურთ მორთულია ყვავილებითა და მწვანეთი.

სიგრილისათვის აშენებულია ორი შადრევანი.

ფასები ადრინდელზე ყველაფრისა დაკლებულია.

სასმელები ცივი გვექნება და ღვინო ბოთლი 40 კაპეიკიდგან.

ყოველ დღე გვექნება „მაროჟნი“ და „აკროშკა“.

სასტუმროს პატრონები:
ი. შამინაშვილი და
ა. თოიძე